



სასტუმროს ეფექტური ოპერირება და მართვა

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და [STS Hospitality Services Georgia](#) წარმოგიდგენთ ორდღიან პროფესიულ ტრენინგს - სასტუმროს ეფექტური ოპერირება და მართვა.

ტრენინგი მოიცავს რეალურ სიტუაციებზე დაფუძნებულ ეფექტურ პრაქტიკულ მაგალითებს, ჯგუფურ სამუშაოებს, ე.წ. role play სიმულაციებსა და გუნდურ პროექტებს.

სამიზნე აუდიტორია:

აღნიშნული ტრენინგი განკუთვნილია სასტუმროს მენეჯერებისთვის, მფლობელებისა და იმ პირებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან სასტუმრო ინდუსტრიაში.

ტრენინგის თემები:

- მენეჯერი, როგორც კარგი ლიდერი; ლიდერობის სახეები;
- გუნდის წევრები, კადრების აყვანა და ადაპტაციის პროცესი, როგორც მენეჯერის მნიშვნელოვანი კომპეტენცია;
- კლიენტთა ეფექტური მომსახურების სარგებლის და მნიშვნელობის ანალიზი;
- კლიენტზე ზრუნვის ინსტრუმენტები;
- გაყიდვების ხელოვნება;
- ონლაინ არხებთან მუშაობა.

დრო:

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 25-26 აპრილი, 10:00-18:00 სთ

ადგილი:

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 1, თბილისი

მონაწილეობის საფასური:

- 400 ლარი
- DWV-ს წევრებისთვის - 350 ლარი

რეგისტრაცია:

ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა, გთხოვთ, 15 აპრილამდე შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა: <https://goo.gl/forms/Jjleab1uInDOKido1>

**ტრენინგი ჩატარდება ქართულ და ინგლისურ ენაზე. სავალდებულოა, რომ მონაწილეები ფლობდნენ ორივე ენას.*

ტრენერები:



მიხაელ კერშაუმერი

STS Hospitality Services Georgia-ს მმართველი დირექტორი, სასტუმროს და მასპინძლობის მომსახურების ხარისხის სრულყოფის ექსპერტი

- 30 წლიანი გამოცდილება მომსახურებისა და სასტუმროს ინდუსტრიის სფეროში;
- 20 წლიანი გამოცდილება სტრატეგიულ დაგეგმვა-სა და მართვაში;
- რამდენიმე საერთაშორისო დიპლომი სასტუმროსა და რესტორნის ეკონომიკის სფეროში;
- საერთაშორისო სასტუმროს მართვის კომპანიების მმართველი რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება ევროპაში, ყაზახეთში, თურქეთში, სომხეთსა და საქართველოში.



მარინა ქორელი

ოთახების ოპერირების ექსპერტი, STS Hospitality Services Georgia

- საერთაშორისო და ადგილობრივ სასტუმროებში, კურორტებსა და კრუიზებზე მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება;
- სასტუმროსა და მასპინძლობის ინდუსტრიის ადგილობრივ და საერთაშორისო ბრენდების სტარტაპებთან მუშაობის გამოცდილება;
- გამოცდილება ოთახების ოპერირებასა და მართვაში;
- მასპინძლობის სფეროს აქტუალური ტრენდებისა და ტენდენციების ღრმა ცოდნა.



თამუნა კუმლაშვილი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი და პროექტები ექსპერტი, STS Hospitality Services Georgia

- სასტუმროსა და მასპინძლობის ინდუსტრიის ადგილობრივ და საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება
- ელექტრონულ არხების მომსახურების ექსპერტი
- Booking.com-ის საქართველოს ოფისის გახსნისა და ოპერირების ხელშეწყობა